# საბჭოთა ახალგაზრდობის მოწინავე რაზმის დიდი ფორუმი

დღეს, კრემლის ყრილობათა სასახლე სტუმართმოყვრულად გაუღებს კარს კომკავშირის XV საკავშირო ყრილობის დელეგატებს, მრავალრიცხოვან სტუმრებს — ხუთივე კონტინენტის ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლებს. ყრილობა შეაჯამებს საანგარიშო პერიოდში გაწეულ მუშაობას, დასახავს ამოცანებს სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებისთვის.

საბჭოთა ახალგაზრდობის მოწინავე რაზმი — ლენინური კომკავშირი მუდამ იყო და არის კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის ავანგარდში, კეთილსინდისიერად ემსახურება ჩვენი ქალიშვილებისა და ჭაბუკების ლენინური იდეებით, კომუნისტურად აღზრდის საქმეს, მუდამ პირველი ეხმაურება პარტიის ყოველ მოწოდებას, ურყევად და პირნათლად ასრულებს მის ყოველ დავალებას, რაზმავს ახალგაზრდობას დიადი ამოცანების შესრულებისთვის.

ფიზკულტურა და სპორტი კომკავშირის ღვიძლი საქმეა და ისიც დიდი გულმოდგინებით იბრძვის საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდობის ფიზიკური გაკაჟებისთვის, მსოფლიოს სპორტული მწვერვალების დაპყრობისთვის, ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე სპორტსმენთა რიგებში ბევრია კომკავშირელი, კომკავშირული ორგანიზაციის აღზრდილი და გამოწრთობილი. ამიტომ იყო, რომ საქართველოს ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა კომკავშირის XV ყრილობას ბევრი საინტერესო ღონისძიება მიუძღვნა.

ყრილობის გახსნის დღეს რესპუბლიკის ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა მრავალრიცხოვანი არმია მხურვალედ მიესალმება საბჭოთა ახალგაზრდების ავანგარდს — ლენინურ კომკავშირს და უსურვებს მას ახალ-ახალ წარმატებებს.

ერთ წელზე ცოტა მეტია, რაც თბილისის მე-18 საშუალო სკოლის მეხუთეკლასელი, 11 წლის თინა ლეკვეიშვილი დინამოელი მწვრთნელის მ. ტატიშვილის ხელმძღვანელობით ვარჯიშობს ცურვაში და უკვე თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია. ამ გოგონამ ბევრჯერ გამოიჩინა თავი საქალაქო ტურნირებში და მერე საკავშირო სარბიელზეც გაითქვა სახელი. წლევანდელ „მხიარულ დელფინისტთა" შეჯიბრების I ეტაპზე მან ყველას აჯობა 50 მეტრზე ზურგზე ცურვაში, II ეტაპზე კი 100 მეტრზე ცურვაც მოიგო და ახლა ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ ნორჩ სპორტსმენად ითვლება სსრ კავშირში.

ამ ნიჭიერ გოგონას მომავალი წინა აქვს!

• • •

სურათზე: თინა ლეკვეიშვილი ვარჯიშის შემდეგ.

ფოტო ა. სააკოვისა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 93 (3070)

17

1966 წ. მაისი. სამშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი



## სპარტაკიადა დაიწყო

**ბათუმი**, 16 მაისი (**ტელეფონით, ჩვენი კორ.**). „დინამოს" სტადიონზე გუშინ საზეიმო ვითარებაში გაიხსნა აჭარის მოსწავლეთა XVIII საოლქო სპარტაკიადა. ნორჩ სპორტსმენებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა აჭარის ასსრ განათლების მინისტრმა ვ. წულუკიძემ.

საზეიმო ცერემონიალის შემდეგ მოეწყო აჭარისა და სამხრეთ ოსეთის მოსწავლე ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრა, რომელიც მოიგეს მასპინძლებმა — 4:0.

სპარტაკიადის პროგრამაშია მძლეოსნობა, კალათბურთი, ტყვიის სროლა, ფრენბურთი და სხვა სახეობანი.

ო. მურვანიძე.

## 4 „ოქრო", 3 „ვერცხლი"

**ესენი** (გფრ), **16 მაისი.** გუშინ დამთავრდა ევროპის პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში.

**გუნდურ ჩათვლაში** ადგილები ასე განაწილდა: **1. სსრ კავშირი** (40 ქულა), 2. ფინეთი (17), 3. შვეცია (16), 4. გდრ, 5. რუმინეთი (15-15).

პირად ჩათვლაში საპრიზო ადგილებზე გავიდნენ:

**უმძიმესი წონა — 1. ვ. ბაკულინი (სსრ კავშირი)**, 2. ბ. მარინკო (იუგოსლავია), 3. მ. მევისი (ბელგია).

**მძიმე — 1. ფ. შგანგე (გფრ)**, 2. ა. საიადოვი (სსრ კავშირი), 3. ი. ბაჩუ (რუმინეთი).

**ქვემსუბუქი — 1. ს. აგამოვი (სსრ კავშირი)**, 2. ლ. ფრეე (შვეცია), 3. ს. პოპესკუ (რუმინეთი).

**მსუბუქი — 1. კ. პოლი (გდრ)**, 2. ა. შტერი (უნგრეთი), 3. ბ. მარტინოვიჩი (იუგოსლავია).

**ქვესაშუალო — 1. ვ. იევლევი (სსრ კავშირი)**, 2. მ. ლაკსო (ფინეთი), 3. ა. კაცანი (თურქეთი).

**საშუალო — 1. ტ. კიში (თურქეთი)**, 2. ა. კიროვი (სსრ კავშირი), 3. ს. პერსონი (შვეცია).

**ქვემძიმე—1. ნ. მარტინესკუ (რუმინეთი)**, 2. ა. კარმაცკიხი (სსრ კავშირი), 3. რ. სვენსონი (შვეცია).

**მძიმე — 1. ა. როშჩინი (სსრ კავშირი)**, 2. ი. კოზმა (უნგრეთი), 3. პ. კმენტი (ჩეხოსლოვაკია).




## XV პარტია გადაიდო

მოსკოვი, 16 მაისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). დღეს ესტრადის თეატრში შედგა პეტროსიან — სპასკის მატჩის XV პარტია.

პეტროსიანმა (შავები) ამ მატჩში პირველად გამოიყენა სიცილიური დაცვა, რაც ყველასთვის მოულოდნელი იყო. როგორც ჩანს, ჩემპიონის საყვარელი კარო-კანის დაცვა XIII პარტიაში წარუმატებლობის შემდეგ „შეკეთებას" მოითხოვს.

სპასკიმ თავი აარიდა სადავო გაგრძელებებს და ფიგურები დახურული ვარიანტის მიხედვით განავითარა. თამაშის ამ სქემაში ბრძოლა მანევრულ, პოზიციურ ხასიათს ატარებს. და მართლაც გაჩაღდა დაძაბული პოზიციური ჭიდილი!

მე-15 სვლაზე პეტროსიანმა ჩაახშო თეთრების ინიციატივა მეფის ფრთაზე. თამაშის გააქტიურების მიზნით სპასკიმ მე-20 სვლაზე ცენტრში ხაზი გახსნა, მაგრამ ეს ნაჩქარევი აღმოჩნდა. შემდეგ მან ლაზიერის ფრთაზე ტაქტიკური ბრძოლა წამოიწყო და მეტოქეს პაიკიც შესთავაზა. მსოფლიო ჩემპიონმა „საჩუქარზე" უარი არ თქვა.

32-ე სვლაზე სპასკიმ ენერგიულად შეუტია მეტოქის მეფის ფრთას. პეტროსიანმა ხარისხის დათმობით და ლაზიერების გაცვლით გაანეიტრალა სპასკის მუქარები, მაგრამ მაინც ოდნავ უარესი პოზიცია მიიღო.

42-ე სვლაზე პარტია გადაიდო.

აი, პარტიაც:

**სპასკი — პეტროსიანი**

**1. e4 c5 2. მc3 მc6 3. g3 g6 4. კg2 კg7 5. d3 d6 6. მh3 მf6 7. 0—0 კg4 8. f3 კ:h3 9. კ:h3 0—0 10. კe3 მe8 11. ლd2 მc7 12. ეae1 b6 13. მd1 d5 14. ლe2 e6 15. f4 f5 16. კc1 ეf7 17. კg2 ლd7 18. მf2 ეd8 19. c3 b5 20. ed ed 21. კd2 c4 22. ლf3 მe7 23. dc bc 24. b3 მc8 25. bc dc 26. კc1 ლa4 27. ეd1 ეdf8 28. კe3 მb6 29. კc5 ეc8 30. კb4 მa6 31. კd6 ლa5 32. g4 ლ:c3 33. ლe2 ლf6 34. ეfe1 ეd7 35. კe7 ე:e7 36. ლ:e7 ლ:e7 37. ე:e7 მc5 38. gf c3 39. fg hg 40. ეe2 ეc7 41. მe4 მc6.** პარტია გადაიდო. სპასკიმ ჩაიწერა 42-ე სვლა.

ამრიგად, მატჩის ანგარიში—7,5:6,5 პეტროსიანის სასარგებლოდ — „ძალაში რჩება".

## ინფორმაცია

**ნოვოსიბირსკი**, 15-16 მაისი. **სსრ კავშირის ძალოსანთა ჩემპიონატი.** ქვემსუბუქი წონა: **1. ე. მინაევი** (მოსკოვი) — **357,5 კგ (115 + 105 + 137,5); 2. ვ. ლი** (ალმა-ათა) — **352,5; 3. ე. სოლოვიოვი** (მოსკოვი) — **352,5; 4. დ. შანიძე** (თბილისი) — **345.** მსუბუქი: **1. ე. კაცურა** (მოსკოვი) — **417,5 (137,5 + 120 + 160); 2. ნ. ნაგაიცევი** (მოსკოვი) — **415, 3. პ. კოროლი** (ლვოვი) — **400.** ქვესაშუალო: **1. მ. კურენცოვი** (მოსკოვი) — **435 (135 + 132,5 + 167,5), 2. ვ. კოზლოვი** (უფა) — **435, 3. ვ. კაპლუნოვი** (ხაბაროვსკი) — **427,5.**

**!** საშუალო წონაში სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება მოიხვეჭა თბილისელმა გ. კოჩიევმა (460 კგ). **II** ადგილზეა ა. შარიპოვი (მოსკოვი), **III** — რ. შუმი (ხაბაროვსკი).

**მეხიკო**, 15 მაისი. **საბჭოთა კალათბურთელები მექსიკაში.** ამ ქვეყნის ნაკრებთან 2 გამარჯვების (**80:66, 64:58**) შემდეგ ჩვენმა ვაჟებმა ბოლო შეხვედრა მომავალი ოლიმპიური თამაშების მასპინძელთა ეროვნულ გუნდთან წააგეს — **62:65 (34:27)**. ეს იყო საბჭოთა ნაკრების სამხრეთამერიკული ტურნეს უკანასკნელი მატჩი.

**მოსკოვი**, 15 მაისი. **მოსკოვისა და გდრ-ის მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ამხანაგური მატჩი.** 3 ვარჯიშის (ორი ვარჯიში საგნით, ერთი — უსაგნოდ) ჯამში პირადი ჩათვლა: **1. ლ. სავინკოვა, 2. ტ. კრავჩენკო** (ორივენი — მოსკოვი), **3. უ. ლემანი** (გდრ). გაიმარჯვა მოსკოვის გუნდმა — **144,75:142,6.**

**ლოძი**, 16 მაისი. **მშვიდობის XIX ველორბოლა.** **VI** ეტაპით (გოტვალდოვი — კატოვიცე) ველორბოლა გუშინ პოლონეთის მიწას ეწვია. ეტაპი მოიგო საბჭოთა გუნდმა. დღეს, **VII** ეტაპზე (კატოვიცე — ლოძი, **208** კმ) ყველას აჯობა ჰოფმანმა (გდრ). **II** ადგილზეა ლე დიუ (საფრანგეთი), ხოლო **III** — დოხლიაკოვი (სსრ კავშირი). გუნდურ ჩათვლაში კვლავ ლიდერობენ საბჭოთა სპორტსმენები.

## გუშინ...

მოსკოვში დამთავრდა სსრ კავშირის მოკრივეთა პირველობა. წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ი. ლეშჩევი (ივანოვო), ვ. ბენდალოვსკი (კიევი), ა. შამკოვი, ბ. ნიკონოროვი, ე. ფროლოვი (ყველანი — მოსკოვი), რ. ტამულისი (კაუნასი), ვ. აგეევი (მოსკოვი), გ. სოლომონოვი (ლენინგრადი), ა. კისელიოვი (მოსკოვი), ა. იზოსიმოვი (კრასნოდარი).

• • •

მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთელთა მეორე ნაკრები გუნდები. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 2:1 (1:1). ბურთები გაიტანეს ვარგამ (სსრ კავშირი), ბლოხამ (ჩეხოსლოვაკია) და ფედოტოვმა (სსრ კავშირი). საბჭოთა გუნდში თამაშობდნენ თბილისის დინამოელები ურუშაძე და ხართიშვილი.

• • •

თბილისში ადგილობრივი „ბურევესტნიკის" ხელბურთელ ვაჟთა გუნდმა ამხანაგურ მატჩში დაამარცხა „კუნცევო" (მოსკოვი) —24:23 (12:10).



## სამნი...

**სოხუმი**, 16 მაისი (**ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.**). გუშინ გაგრაში საზეიმოდ აღიმართა რესპუბლიკური მრავალდღიანი ველორბოლის ალამი. მონაწილეთა ალუმზე მოეწყო 7 გუნდი — საქართველოს „განთიადი", „დინამო", „კოლმეურნე", „ბურევესტნიკი", „სპარტაკი" და აზერბაიჯანის 2 კოლექტივი (ნაკრები და ახალგაზრდული). შეჯიბრების მონაწილეებს მიესალმა საქართველოს ველოსპორტის ფედერაციის თავმჯდომარე მ. ბარამია, რის შემდეგ დაიწყო I ეტაპი გაგრა — სოხუმი (96 კმ).

ველოსიპედისტებმა ქალაქშივე მაღალი სისწრაფე განავითარეს და დიდხანს ერთ მთლიან ჯგუფად მიქროდნენ, მაგრამ მიუსვრას მისადგომებთან თავი იჩინა ზოგიერთის სწრაფვამ — გამოეყენებინა ეტაპის ეს რთული მონაკვეთი (აღმართები და მკვეთრი მოსახვევები) და ხელთ ეგდო ლიდერობა. მართლაც, ამ უაღრესად ძნელმა გზამ ველოსიპედისტები ლარივით გაჭიმა.

მე-15 კილომეტრზე ერთბაშად დაწინაურდა ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ს. გრიშკევიჩი („განთიადი"), ე. სიდანოვი („კოლმეურნე") და 2 სტუმარი აზერბაიჯანიდან — ე. მელკოვი და ტ. ტოლმუსკი. ეს „კვარტეტი" შეთანხმებულად მოქმედებდა და ენერგიულად ძლევდა ყველა დაბრკოლებას. ამ ოთხეულმა პირველმა დაამთავრა ახალი ათონის აღმართი.

ლიდერებსა და ძირითად ჯგუფს შორის სხვაობა თანდათან იზრდებოდა და 30-ე კილომეტრზე 4 წუთს მიაღწია. მაგრამ, აი, საბურავის დაზიანების გამო სიდანოვი ჩამორჩა. იგი იძულებული გახდა ძირითად ჯგუფს დალოდებოდა.

ფინიში სოხუმის მისასვლელთან მოეწყო, აქ ერთდროულად მიიჭრნენ გრიშკევიჩი, ტოლმუსკი და მელკოვი — 2:53.03. საპრიზო ადგილებიც ამავე თანმიმდევრობით განაწილდა. რბოლის ლიდერი გახდა გრიშკევიჩი.

მხოლოდ 4 წუთის მერე გამოჩნდა მეორე, 8-კაციანი ჯგუფი, რომელსაც სიდანოვი მოუძღოდა.

გუნდურ ჩათვლაში დაწინაურდა კონკურსგარეშე მონაწილე აზერბაიჯანის ნაკრები — 8:44.54. საქართველოს გუნდებიდან პირველი იყო „განთიადი" — 8:48.54. II და III ადგილებზე არიან „დინამო" და „კოლმეურნე".

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ანგარიშგება-არჩევნები

სოფლის სპორტსმენთა III საკავშირო და სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადებისთვის მზადების ნიშნით ჩატარდა „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს IV რესპუბლიკური კონფერენცია.

„კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ჟღენტმა შეკრებილთ 2 წლის მანძილზე ჩატარებული მუშაობის შედეგები გააცნო, ილაპარაკა მიღწევებზე, ნაკლზეც და შემდგომ ამოცანებზე. მივყვეთ რიგით...

## რა გვაქვს საამაყო?

ამ კითხვას ორატორმა კონკრეტული პასუხი გასცა: საანგარიშო პერიოდში „კოლმეურნის" წევრთა რიცხვი 227.271-დან 247.259-მდე გაიზარდა. სოფლად ფიზკულტურელები ახლა უკვე მოსახლეობის 36,2 პროცენტს შეადგენენ; გადაჭარბებით შესრულდა მზთ ნიშნოსნებისა და თანრიგოსანთა მომზადების გეგმა. მომზადდა 2 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, 64 სპორტის ოსტატი, 26 ოსტატობის კანდიდატი, 703 პირველთანრიგოსანი... სწორედ ამ დიდი წარმატებებისთვის საკავშირო სპორტკავშირის ცენტრალურმა საბჭომ წლეულს უკვე მეხუთედ დააჯილდოვა „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭო გარდამავალი წითელი დროშითა და საპატიო სიგელით.

ამ ბოლო ხანს საქართველოს სოფლის სპორტსმენთაგან 31-მა ოქროს მედალი მოიპოვა, 19-მა — ვერცხლისა და 7-მა — ბრინჯაოსი.

დღითიდღე იზრდება კაპიტალური და მარტივი ტიპის სპორტული ბაზების რიცხვი. ახლა სოფლის სპორტსმენთა განკარგულებაშია 17 სტადიონი, 92 კომპლექსური მოედანი, ფეხბურთის 850 მინდორი, კალათბურთის 698 და ფრენბურთის 1.545 მოედანი, ჩოგბურთის 18 კორტი, 13 ტანვარჯიშული დარბაზი და სხვ. საგრძნობლად იმატა საწარმოო ტანვარჯიშში მომეცადინეთა რაოდენობამ.

შესანიშნავი თაოსნობა გამოიჩინეს მახარაძის რაიონის სოფელ შემოქმედის, გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბნის კოლმეურნეობებმა და გარდაბნის რაიონის ვარკეთილის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ, რომლებმაც საკუთარი სახსრებით სპორტდარბაზის, საცურაო აუზის, ფეხბურთის სტადიონის, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნების აგება და მოწყობა ივალდებულეს. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ეს წამოწყება. თაოსანთა კარგ მაგალითს ჩვენი რესპუბლიკის მრავალმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ მიბაძა.

დიდ წარმატებებს მიაღწია დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმმა. იგი ერთადერთი ტექნიკუმია რესპუბლიკაში, სპორტული კლუბის სახელი რომ მოიპოვა.

## რა გვაღელვებს?

ბევრი რამ! თუნდაც ის, რომ რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში ფიზკულტურასა და სპორტში სოფლის მშრომელთა ჯერ კიდევ მცირე ნაწილია ჩაბმული. მაგალითად, ვანის, თიანეთისა და საჩხერის რაიონებში ფიზკულტურელები სოფლის მშრომელთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 11,5 პროცენტს შეადგენენ. ბევრი ფიზკულტურული კოლექტივი ორგანიზაციულად განუმტკიცებელია, სერიოზული ნაკლოვანებანი შეიმჩნევა საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადებასა და გამოყენებაში, ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ნიჭიერ სპორტსმენთა გამოვლენას, ბევრგან სრულიად არ ზრუნავენ სპორტბაზების მოწყობისთვის.

**სოფლად სპორტული ცხოვრება რომ დუღდეს**

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ განხორციელდა საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვა ზოგიერთ მსხვილ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში. სოფლის მშრომელთა ძალიან მცირე ნაწილია ჩაბმული ტურიზმში, სპორტულ ნადირობასა და თევზჭერაში.

მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა ჩაშლილია წითელწყაროს რაიონის სოფელ გამარჯვების, ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურის, გეგეჭკორის რაიონის სოფელ სერგიეთის, მაიაკოვსკის რაიონის სოფელ წითელხევის კოლმეურნეობებში, ზესტაფონის რაიონის სოფელ როდინოულის საბჭოთა მეურნეობაში და სხვ.

ბევრგან აშენდა საჭიდაო დარბაზი, მოეწყო სარბიელი ღია ცის ქვეშ, მაგრამ ქართულ ჭიდაობას მაინც არ ექცევა სათანადო ყურადღება. მიუხედავად დიდი წარმატებებისა ცხენოსნურ სპორტში, ამ სახეობის განვითარებას ჯერ კიდევ ბევრი რამ უშლის ხელს: წლითიწლობით სულ უფრო ცოტა და ცოტა გუნდი მონაწილეობს რესპუბლიკურ შეჯიბრებებში. მუშაობის სათანადო პირობები არა აქვთ საკოლმეურნეობათაშორისო საცხენოსნო კლუბებს...

ყაზბეგის, ბოლნისის, დმანისის, ვანის, მაიაკოვსკის, ტყიბულის, ჩხოროწყუს, ახალქალაქისა და სხვა რაიონებში იშვიათად ტარდება შეჯიბრებები, ნაკლებ ზრუნავენ სპორტული და საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადებისთვის.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არის ბაზები, სადაც წესრიგი ვერ დაგვიმყარებია. მიუხედავად „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს დახმარებისა, ქობულეთის სტადიონზე მეორე წელია ჯერ მოუწყვიათ სარბენი ბილიკები და მძლეოსნური სექტორები.

განსაკუთრებული სიმწვავით დგას იურიდიული ანარიცხების აკრეფის საკითხი. 1965 წელს იურიდიული საწევროს ამოღების საერთო გეგმა 98 პროცენტით შესრულდა. მაგრამ, მაგალითად, ახალქალაქის, ყვარლის, ლენტეხის, თეთრი წყაროს და ცაგერის რაიონებმა გეგმა მხოლოდ 50 პროცენტით შეასრულეს.

## რა ამოცანები დგას ჩვენს წინაშე?

აღმოვფხვრა ყველა ნაკლისა, რომელთა შესახებ ზემოთ ვილაპარაკეთ. მასთან, ჩვენი უპირველესი ამოცანაა, წარმატებით გამოვიდეთ სოფლის სპორტსმენთა წლევანდელ III საკავშირო სპარტაკიადაში. შემდეგ? შემდეგ კი სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადაზე რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებში ჩვენმა სპორტსმენებმაც უნდა ისახელონ თავი.

სოფლის სპორტსმენთა საკავშირო სპარტაკიადის I ეტაპი საქართველოს წარმომადგენლებმა ურიგოდ როდი განვლეს. აქ მათ ხუთ სახეობაში ცადეს ძალა (ძალოსნობა, ჭადრაკი, შაში, თავისუფალი და კლასიკური ჭიდაობა) და საერთო გუნდურ ჩათვლაში რუსეთისა და უკრაინის გუნდების შემდეგ III ადგილზე არიან. აგვისტო-ოქტომბერში გაიმართება შეჯიბრებები ოთხ სახეობაში (საცხენოსნო სპორტი, მძლეოსნობა, ველოსპორტი და ფრენბურთი). წარმატება რომ შევინარჩუნოთ, საჭიროა ამთავითვე შევუდგეთ მზადებას.

მეორე მთავარი ამოცანაა ჩვენი რაც შეიძლება მეტი სპორტსმენი მოხვდეს საქართველოს ნაკრებ გუნდში, რომელიც 1967 წელს სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადაში გამოვა. და მესამე, არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ „კოლმეურნის" სპორტსმენები კვლავინდებურად მოხვდნენ სსრ კავშირის ოლიმპიური გუნდის შემადგენლობაში და მეხიკოს ოლიმპიადაში სხვებთან ერთად დაიცვან საბჭოთა სპორტის ღირსება.

• • •

კონფერენციამ მოისმინა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ო. ლეჟავას მოხსენება. კამათში მონაწილეობა მიიღეს: თ. ბოლქვაძემ („კოლმეურნის" აჭარის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე), შ. მიქელაძემ („კოლმეურნის" აფხაზეთის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე), გ. ანთიძემ (ჩოხატაურის რაიონის გორაბერეჟოულის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დირექტორი), ა. გალეგაშვილმა („კოლმეურნის" სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე), ვ. ჯაჯანიძემ („კოლმეურნის" გურჯაანის რაისაბჭოს თავმჯდომარე), შ. ჩანგელიამ („კოლმეურნის" ზუგდიდის რაისაბჭოს თავმჯდომარე), ნ. კაკაურიძემ („კოლმეურნის" ზესტაფონის რაისაბჭოს თავმჯდომარე), ჯ. ვაშაკიძემ („კოლმეურნის" სამტრედიის რაისაბჭოს თავმჯდომარე) და ო. ზოიძემ (სოფელ ნატანების კოლმეურნეობის ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე).

• • •

კონფერენციამ მიიღო დონისძიება, აირჩია საქართველოს სსრ „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა.

გაიმართა I პლენუმი. ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია ვ. ჟღენტი, მოადგილედ — ა. აბზიანიძე, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ — მ. გაგუა.



# საპასუხისმგებლოა მეორე გამოცდაც...

ევროპის ძიუდოისტთა ჩემპიონატის შესახებ ლუქსემბურგიდან მიღებული ცნობები ერთ-ერთს პირველს თბილისის უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის დეკანს, დოცენტ ნ. ნაჭყებიას აინტერესებდა.

ასე იყო ადრეც, როცა ფარნაოზ ჩიკვილაძე ტოკიოსა თუ პარიზში ჭიდაობდა. ფარნაოზმა თავიდანვე მიიქცია გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის პედაგოგთა ყურადღება, როგორც შრომისმოყვარე, ნიჭიერმა სტუდენტმა. უნივერსიტეტი რომ წარჩინებით დაამთავრა, ასპირანტურაში ჩარიცხეს ახლა იგი ნ. ნაჭყებიას ხელმძღვანელობით მუშაობს სადისერტაციო თემაზე — „ნავსადგურების ფორმირებისა და განვითარების საკითხისთვის (შავი ზღვის აუზის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილის მაგალითზე)".

ამ საპასუხისმგებლო გამოცდის დღეც მალე მოვა: სახელგანთქმული ფალავანი, ალბათ, არც მეცნიერებაში შეირცხვენს თავს და თავის მეორე „მწვრთნელის" იმედსაც გაამართლებს.

**გ. შეყილაძე.**

სურათზე: ნ. ნაჭყებია და ფ. ჩიკვილაძე სადისერტაციო თემის საკითხებზე საუბრობენ.

ფოტო ავტორისა.

# საქართველოს სტუდენტთა თამაშები

## მოწყენილი ბილიკები

მოცურავეთა შეჯიბრება მეტად მცირერიცხოვანი იყო. ზოგიერთი სახეობის სტარტზე სულ 2-3 სპორტსმენი გამოვიდა, ხოლო უნივერსიტეტის კოლექტივმა ვერ მიიღო საკმარი რაოდენობის ჩათვლა (I თანრიგი), რის გამო ასპარეზობიდან მოიხსნა. ამრიგად, პირველობისთვის ბრძოლა ფაქტიურად მიმდინარეობდა პოლიტექნიკურ და ფიზკულტურის ინსტიტუტების გუნდებს შორის. გაიმარჯვეს მომავალმა ინჟინრებმა.

მოასპარეზენი ვერც მაღალი მაჩვენებლებით დაიქადნიან. ქალთა შორის მხოლოდ ლ. გნოლიძემ (სამედიცინო ინსტიტუტი) შეასრულა I თანრიგის ნორმა, ვაჟებში კი — ოთხმა სპორტსმენმა. უხეირო შედეგები იმანაც განაპირობა, რომ მონაწილეთა სიმცირის გამო ცისფერ ბილიკებზე ბრძოლა მეტისმეტად დუნედ წარმოებდა.

**ლ. ფაილოძე.**

• • •

აი, ჩემპიონები:

**ქალები.** 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვა — ა. მაქსიმცევა (პოლიტექნ. ინსტ.) — 1.20,4, 100 და 200 მეტრზე ბრასით — ლ. გნოლიძე — 1.29,5 და 3.15,6; 100 მ ზურგზე — ე. დემიდოვა (პოლიტექნ. ინსტ.) — 1.30,6; 200 მეტრზე თავისუფალი სტილით — ნ. ტრიშჩინა (ფიზკ. ინსტ.) — 3.00,0.

**ვაჟები.** 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვა — ი. გიორგობიანი (უნივერ.) და ე. სიდელნიკოვი (ფიზკ. ინსტ.) 1.02,4; 200 მეტრზე თავისუფალი სტილით—ს. კრავცოვი — 2.39,6, 100 და 200 მეტრზე ბრასით — ვ. ჩოლარია — 1.17,2 და 2.53,6; 100 და 200 მ ზურგზე — ი. ოგანეზოვი (ყველანი — პოლიტექნ. ინსტ.) — 1.11,2 და 2.38,6; 400 მეტრზე თავისუფალი სტილით — ბ. ნიკიტინი — 5.01,4, 400 მეტრზე კომპლექსური — ვ. ბალდასაროვი (ორივენი—ფიზკ. ინსტ.) — 6,05,8.

## ძველი ნაცნობები

„ბურევესტნიკის" სპორტულ დარბაზში ორ დღეს გრძელდებოდა შეჯიბრება მხატვრულ ტანვარჯიშში. როგორც ეს უკვე რატომღაც დაურღვეველ ტრადიციად იქცა, გუნდურ პირველობას ერთმანეთს ამჯერადაც 3 გუნდი ეცილებოდა — უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური და ფიზკულტურის ინსტიტუტებისა. უნივერსიტეტის წარმომადგენელთა უპირატესობა აშკარა იყო და მათ 12 ქულაზე მეტით მოუგეს II ადგილზე გასულ მომავალ ინჟინრებს. გამარჯვებულთა შედეგია 222,75 ქულა. 191,5 ქულით III ადგილი დაიკავეს ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა.

ოსტატთა თანრიგში ლიდერობა თავიდანვე ხელთ იგდეს უნივერსიტეტის გუნდის წევრებმა და საბოლოოდ საპრიზო ადგილებიც მათ დარჩათ. I იყო ს. მაჭავარიანი — 52,55, II — ლ. მამულია — 50,5, III — ე. როყვა — 50,45.

პირველთანრიგოსანთა შორის უძლიერესი იყო თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის სტუდენტი ი. პეტროსიანი.

უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის ბევრი უმაღლესი სასწავლებელი ნაკლებ ყურადღებას უთმობს მხატვრული ტანვარჯიშის განვითარებას. სწორედ ამიტომაა, რომ სპორტის ამ სახეობის (როგორც თბილისის, ისე რესპუბლიკური მასშტაბის) ღონისძიებებში ერთიდაიგივე გუნდები და სპორტსმენები მონაწილეობენ.

**ი. ხავთასი.**





თბილისის უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში ამას წინათ გაიმართა ახალგაზრდა ძალოსანთა რესპუბლიკური პირველობა.

სურათებზე: ზევით—ქვემძიმე წონის ძალოსანი დ. ხიზამბარელი, რომელმაც იუნიორთა რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა აკვრაში — 163 კგ; ქვევით — ქვესაშუალო წონის ათლეტი ვ. კოჩიევი შეჯიბრებისას. მან 3 რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა იუნიორთათვის: ატაცი — 110 კგ, აკვრა — 150 კგ და სამჭიდი — 375 კგ.

ფოტო ი. იუნაევისა.

# თასის პირველი გაწერა

თბილისის განათლების განყოფილების თასის პირველი მფლობელი გახდა განათლების სამინისტროს მე-2 სპორტული სკოლა-ინტერნატის (დირექტორი კ. არჩვაძე) მძლეოსანთა კოლექტივი, რომელმაც „ბურევესტნიკის" სტადიონზე ამას წინათ გამართულ ფინალურ ტურნირში დაამარცხა 1 მაისის, 26 კომისრის, ლენინის, კიროვისა და ორჯონიკიძის რაიონების მოსწავლეთა ნაკრები გუნდები.

ასპარეზობამ იმედი გაამართლა. ფინალში ყველა რაიონმა ბრძოლისუნარიანი, სრულად დაკომპლექტებული გუნდები გამოიყვანა და ტურნირიც საინტერესოდ წარიმართა.

პირად პირველობაში აღსანიშნავია რამდენიმე მაჩვენებელი: 116-ე სკოლის მეთერთმეტეკლასელმა ვარდო ქუთათელაძემ 100 მეტრზე რბენაში კვლავ დაამტკიცა, რომ მოსწავლეთა შორის ბადალი არ ჰყავს. სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრის ქუთათელაძის შედეგი (12,2) I თანრიგის ნორმას ბევრად აღემატება.

ნიჭიერმა ჭაბუკმა ზ. ალხანაიძემ (მე-2 სკოლა-ინტერნატი) სიგრძეზე ხტომაში პირველად შეასრულა I თანრიგის ნორმა — 693 სმ.

ბევრმა გამარჯვებულმა II თანრიგის შედეგი აჩვენა. მაგალითად, სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატმა, 25-ე სკოლის მოსწავლე ო. ჩახუნაშვილმა 180 სმ სიმაღლე დასძლია; ნ. გნიოტოვა (115-ე სკოლა) სიგრძეზე 530 სანტიმეტრზე გადახტა; ლ. სამხარაულმა (მე-2 სკოლა-ინტერნატი) შუბი 57,70 მეტრზე ტყორცნა; 100 მეტრზე ჭაბუკთა რბენაში ვ. გოლეთიანს (27-ე სკოლა) 11,2 ჰქონდა; 110 მეტრზე თარჯრბენში ფინიშთან ერთდროულად მივიდნენ ვ. ჩერნოვი (52-ე სკოლა) და მ. ფრიდმანი (78-ე სკოლა) — 15,7. პირველობა მიეკუთვნა ჩერნოვს.

76-ე სკოლის მეცხრეკლასელი გოგონა ლ. კორკოტაძე საქართველოს ერთ-ერთ საუკეთესო მორბენლად ითვლება საშუალო მანძილებზე. მან ახლაც დაადასტურა ეს მოსაზრება: 400 მეტრზე რბენა იოლად მოუგო ყველა მეტოქეს — 1.01,5.

II თანრიგის შედეგებით გაიმარჯვეს აგრეთვე: გოგონათა შორის — 200 მ რბენაში — ვ. ქუთათელაძემ — 26,2, ბადროს ტყორცნაში — ც. ჯაფარიძემ (მე-2 სკოლა-ინტერნატი) — 36,52; ჭაბუკებში: ბირთვის კვრაში — ლ. ყაჯრიშვილმა (52-ე სკოლა) — 14,20, 400 მ რბენაში — ა. ტევზტრენმა (96-ე სკოლა) — 52,3, 200 მ რბენაში — თ. მდინარაძემ — 23,4, უროს ტყორცნაში — ო. ჯინჭარაშვილმა (ორივენი — მე-2 სკოლა-ინტერნატი) — 54,38. ჭოკით ხტომაში — ვ. ზუბკომ (მე-13 სკოლა) — 360; 3 კმ-ზე სპორტულ სიარულში ყველას აჯობა 123-ე სკოლის მოსწავლე გ. მაკიევმა — 15.28,4.

სხვა სახეობებში გამარჯვებულნი არიან: გოგონებში — 80 მ თარჯრბენი — ლ. ასანიძე (მე-2 სკოლა-ინტერნატი) — 13,0, სიმაღლეზე ხტომა — მ. ნიშნიანიძე (29-ე სკოლა) — 140, შუბის ტყორცნა — ე. ბულალაშვილი (მე-2 სკოლა-ინტერნატი) — 36,57, ბირთვის კვრა — დ. საბაური (მე-10 სკოლა) — 10,65. ჭაბუკებში: 800 მ რბენა — გ. ემინოვი (52-ე სკოლა) — 2.08,4, 1500 მ — ი. იაცკევიჩი (109-ე სკოლა) — 4.28,9, 3000 მ — ვ. რაქვიაშვილი (მე-2 სკოლა-ინტერნატი) — 10.14,4, 200 მ თარჯრბენი — მ. ფრიდმანი — 26,6, სამხტომი — ა. ბაბაევი (72-ე სკოლა) — 13,23, ბადროს ტყორცნა — ა. ერშოვი (81-ე სკოლა) — 42,34.

ერთადერთი გამარჯვებული, რომელიც მოზრდილთა ვერც ერთ თანრიგს ვერ შეწვდა, იყო ს. კოჩეტოვა (72-ე სკოლა). მან მოიგო 800 მეტრზე რბენა — 2.49,6.

გუნდურ ჩათვლაში II ადგილზე გავიდნენ 1 მაისის, ხოლო III — 26 კომისრის რაიონის მძლეოსნები.

**ვ. ზუკინი,**
I კატეგორიის მსაჯი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქედანვე ვემზადოთ საბჭოთა კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის

# რატომ შრება სათავეები?

სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადაში საქართველოს მოსწავლე-მძლეოსანთა გამოსვლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან ბავშვთა შედეგები საერთო გუნდურ ჩათვლაში ისეთივე კოეფიციენტით (2) შედის, როგორც მოზრდილთა.

მოსწავლე-მძლეოსანთა მაჩვენებლები ბოლო წლებში მეტად ამაღლდა და სპარტაკიადაში მწვავე ბრძოლებია მოსალოდნელი. თუ 1963 წლის სპარტაკიადაში საქართველოს გუნდს სავსებით აკმაყოფილებდა II თანრიგის შედეგები, ამჟერად, 1967 წლისთვის, ნაკრები ძირითადად პირველთანრიგოსნებით უნდა დაკომპლექტდეს.

ჩვენ კი, მიუხედავად იმისა, რომ საკმარი რაოდენობით მოვამზადეთ მაღალი თანრიგის სპორტსმენები (მაგალითად, შარშან მათ რიგებს 1 სპორტის ოსტატი, 3 ოსტატობის კანდიდატი და 26 პირველთანრიგოსანი შეემატა), მაინც ტექნიკური მაჩვენებლების ზრდაში მნიშვნელოვნად ჩამოვრჩებით მოწინავე კოლექტივებს და, მაშასადამე, წინსვლაც ნაკლებია.

ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იმისა, რომ საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებ გუნდს კვალიფიციურ მძლეოსნებს საჭირო რაოდენობით ვერ ვაწვდით, სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების ბავშვთა სპორტსკოლებში გაბატონებული უმოქმედობაა. ნაკრების იმ 90 კანდიდატში, რომლებიც შარშანდელი და წლევანდელი შეჯიბრებების შედეგების მიხედვით შევარჩიეთ, მხოლოდ თითო წარმომადგენელია „განთიადიდან" (კორკოტაძე) და „დინამოდან" (გოლეთიანი).

ნაკრებში წლების მანძილზე ვერ ვხედავთ „ბურევესტნიკის", „სპარტაკისა" და სხვა საზოგადოებების აღზრდილებს, მაშინ, როცა რესპუბლიკის საუკეთესო მწვრთნელები სწორედ სპორტსაზოგადოებებსა და უწყებებში არიან თავმოყრილი. ყველა აღმზრდელი, რომელიც მოზრდილებთან მუშაობს, ვალდებულია მოამზადოს ცვლა — ახალგაზრდა სპორტსმენები და არ ელოდოს როდის მოვლენ მასთან უკვე სრულყოფილი მძლეოსნები.

სპორტსაზოგადოებების ამგვარი ინერტულობა იმითაა გამოწვეული, რომ არ ტარდება მოზარდ მძლეოსანთა საქალაქო და რესპუბლიკური პირველობები სპორტსაზოგადოებებსა და უწყებათა გუნდებს შორის.

ჩვენი ნაკრები ძირითადად განათლების სამინისტროს სისტემის ბავშვთა სპორტსკოლების მოსწავლეებით კომპლექტდება, მაგრამ კვალიფიციური სპორტსმენების აღზრდის საქმე ვერც ამ სკოლებშია რიგზე.

ეს განსაკუთრებით ითქმის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებზე. მათ უმრავლესობას მძლეოსნობაში მეცადინეობის ელემენტარული პირობებიც კი არ გააჩნია. საქმეს დიდად აფერხებს ის გარემოებაც, რომ ფიზაღზრდის მასწავლებლები უმეტესად სხვა სახეობების სპეციალისტები არიან.

საჭიროა შეიქმნას სასკოლო შეჯიბრებების უფრო რაციონალური სისტემა, ვინაიდან ყოველწლიური რაიონული და საქალაქო სპარტაკიადები, რომლებიც 6 გუნდის (კალათბურთი, ფრენბურთი, ხელბურთი და 3 გუნდი ფეხბურთში) აუცილებელ მონაწილეობას ითვალისწინებენ, ფაქტიურად მძლეოსნობის სპეციალურ სკოლებს ხელს უშლის შეასრულონ მათ წინაშე დასახული ამოცანა.

თბილისის, აგრეთვე რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და რაიონების ბავშვთა სპორტსკოლების მწვრთნელთა უმეტესობის საქმიანობაც ნაკლებ ნაყოფიერია. ზოგიერთი წლიდან წლამდე არ კიდებს გულიანად საქმეს ხელს. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა სამხრეთ ოსეთში. იყო დრო, როცა ეს ოლქი კარგ სპორტსმენებს გვიზრდიდა, ახლა კი ნაკრების ერთი კანდიდატი ძლივს მოგვცა. და ეს მაშინ, როცა ცხინვალში არსებობს მძლეოსნობის სპეციალიზებული ბავშვთა სპორტსკოლა: შეიძლება ითქვას, აქ ერთადერთი მწვრთნელი ჯალალოვია, რომელიც ენერგიულად შრომობს. გევორქოვზე, ქებაძესა და სხვებზე კი ამას ვერ ვიტყვით.

შემცირდა ნაკადი აფხაზეთიდანაც. თუ სადღეისოდ აფხაზეთის მოსწავლე-მძლეოსნები რაიმე წარმატებებს აღწევენ, ისევ კერსელიანის დამსახურებაა, რომელმაც რამდენიმე ოსტატი და პირველთანრიგოსანი მოამზადა. მის აღზრდილთაგან რამდენიმემ რესპუბლიკურ და საკავშირო სარბიელზეც გაიმარჯვა. სოხუმში მუშაობენ, აგრეთვე, ავიძბა, სანგულია, ნარმანია, ბაკურაძე. მაგრამ შედეგი?

ტყვარჩელში, გალში, ოჩამჩირესა და გუდაუთში მოქმედი ჯგუფებისა და მწვრთნელების საქმიანობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ცუდად მუშაობს ბათუმის მძლეოსნობის სპეციალიზებული სპორტსკოლა (დირექტორი ჯიჯავაძე). დირექციის უყაირათობის გამო მუშაობა შეასუსტეს მწვრთნელებმა კუკმა, ნაზარიანცმა, გიორგაძემ, ხოლო ბოხუას, კოსოვას, ჯორბენაძისა და თვით ჯიჯავაძის შრომა ნაკლებ პროდუქტიულია.

ძლიერი სპორტსმენების მომზადების მხრივ ქუთაისშიც ბევრს ვერას დაიქადნიან. თუ ეფრემაშვილსა და ალიშანოვს ამ მხრივ ვერაფერს ვუსაყვედურებთ, ისეთმა გამოცდილმა მწვრთნელებმა, როგორიც გერსამია და ცხვედიანია, უკეთეს შემთხვევაში ნაკრების თითო პრეტენდენტი მოამზადეს.

გვახარებს მუშაობის გამოცოცხლება ახალციხეში. ახალგაზრდა სპეციალისტმა ჯიშკარიანმა მოკლე დროში 4 პერსპექტიული ჭაბუკი „აღმოაჩინა". კარგად მუშაობს ხაშურელი მწვრთნელი ზანიერი, წალკაში — ჩახმახჩევი. ვერ ვუსაყვედურებთ მე-2 სპორტულ სკოლა-ინტერნატსაც (დირექტორი არჩვაძე), რომელიც შევსებას აძლევს არა მარტო ბავშვების, არამედ მოზრდილთა რესპუბლიკურ ნაკრებსაც.

ყველა ზემოაღნიშნული ნაკლოვანების გამო, მოსწავლეთა ნაკრები გუნდის დაკომპლექტების მთელი სიმძიმე თბილისის განათლების განყოფილების მძლეოსნობის ბავშვთა სპორტსკოლის მხრებზე გადადის, მაგრამ აქ მუშაობის სრულყოფას ამუხრუჭებს ის, რომ შექმნილი არ არის სპეციალიზებული ჯგუფები. მწვრთნელები იძულებული არიან ერთდროულად რამდენიმე სპეციალობის მძლეოსნები ამეცადინონ, ნაკრების წევრებთან და პირველთანრიგოსანთა დონის სპორტსმენებთან ამგვარი მუშაობა კი დაუშვებელია.

საქმეს აფერხებს ისიც, რომ ბევრი გამოცდილი აღმზრდელი (ბეთლემიძე, ქადეიშვილი, სახაროვი, იაცკევიჩი) სკოლებში ფიზაღზრდის მასწავლებლად მუშაობენ და, ცხადია, სპორტსკოლებში მათი საქმიანობა არც ისე ნაყოფიერია. სასწავლო-საწვრთნელ პროცესზე დიდ გავლენას ახდენს ის გარემოებაც, რომ რესპუბლიკაში ძალიან ცოტაა კეთილმოწყობილი სპორტბაზა.

სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადამდე საკმარისი დროა. მწვრთნელებმა ძალ-ღონე არ უნდა დავიშუროთ არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად. საჭიროა აქედანვე ვიზრუნოთ ნიჭიერი ბავშვების გამოვლინებისა და აღზრდისთვის. ყურადღება, განსაკუთრებით, 1.500 და 3.000 მეტრზე მორბენალი ჭაბუკებისა და 800 მეტრზე მორბენალი გოგონების შერჩევაზე უნდა გავამახვილოთ, ვინაიდან ეს სახეობები მოსწავლეთა მძლეოსნობაში ახლა ინერგება და საიუბილეო სპარტაკიადის პროგრამაშიც შეიტანეს. სათანადო ზრუნვას საჭიროებს, აგრეთვე, ჭაბუკთა შორის — ათჭიდი, 800 მეტრზე რბენა, სიგრძეზე ხტომა და სამხტომი, ბადროსა და უროს ტყორცნა, გოგონებში — 200 და 400 მეტრზე რბენა, ბადროსა და შუბის ტყორცნა, ბირთვის კვრა, სიგრძეზე ხტომა და ხუთჭიდი.

მხოლოდ მძლეოსნობაში მომუშავეთა საერთო ძალით, ნაკრების უკვე არსებული შემადგენლობის ჯეგმაზომიერი მზადებითა და ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლინებით, შეიძლება უზრუნველვყოთ 1967 წლის საიუბილეო სპარტაკიადაში ჩვენი გუნდის წარმატება.

**ნ. დვალიშვილი,**

საქართველოს მოსწავლე-მძლეოსანთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.



პერსპექტიული მძლეოსანია საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი დ. კაპანაძე. სტუდენტთა თამაშებში მან II ადგილი მოიპოვა სიგრძეზე ხტომაში.

ს უ რ ა თ ზ ე: დ. კაპანაძე შეჯიბრების დროს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## I ჯგუფი

### ორი ლიდერი

**მოსკოვი,** 16 მაისი (ტელეფონით). გუშინ აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე. ერთმანეთს შეხვდნენ „სპარტაკისა" და „კაირატის" ფეხბურთელთა გუნდები.

მატჩი მოიგეს სპარტაკელებმა — 2:0 (ორივე ბურთი გაიტანა ოსიანინმა). ახლა გათამაშებას 2 ლიდერი ჰყავს: „დინამო" (კიევი) და „სპარტაკი" (მოსკოვი), რომლებსაც 13-13 ქულა აქვთ.

## შეჯიბრების ფინიშზე

### მასპინძელთა წარმატება

გუშინწინ დილით, თბილისში, ამიერკავკასიის 3 დედაქალაქის მოჭადრაკეთა მეგობრობის მატჩ-ტურნირზე მოხდა ბაქო — ერევნის მატჩში 4 გადადებული პარტიის დამთავრება. ბაქოელმა ზატულოვსკაიამ მოუგო ბოიახჩიანს, სამაგიეროდ, დემირხანიანმა დაამარცხა მორგულიოვი. კ. გრიგორიან—პავლენკოსა და აკოპიან — პირვოროდსკის პარტიები ყაიმით დამთავრდა. ამრიგად, მატჩი ერევნელებმა მოიგეს — 5,5:4,5.

საღამოს ერთმანეთს შეხვდნენ თბილისი — ბაქო. თბილისელთაგან თავი ისახელეს ჯინჯიხაშვილმა და ალექსანდრიამ. პირველმა მწვავე ბრძოლაში დაამარცხა პავლენკო, მეორემ კი — საიკოვა. ყაიმით დამთავრდა შეხვედრები: ბაგიროვი — გურგენიძე, ბუსლაევი — ა. შახტახტინსკი, გავაშელიშვილი — უბილავა, ბოკუჩავა — ფ. შახტახტინსკი და გორბულიოვა — ჩაიკოვსკაია. გიორგაძემ წააგო მორგულიოვთან. 2 პარტია გადაიდო.

ყაიმს მიაღწია. ამრიგად, თბილისი — ბაქოს მატჩის ანგარიშია 5:5.

**საღამოს** გაიმართა მატჩ-ტურნირის დასკვნითი შეხვედრა: თბილისი — ერევანი. მასპინძლებმა ძლიერად ითამაშეს და გაიმარჯვეს — 7,5:0,5 (2 პარტია გადაიდო). გურგენიძემ მოუგო მნაცაკანიანს, ჯინჯიხაშვილმა — კ. გრიგორიანს, ლომაიამ — აკოპიანს, უბილავამ არუთინიანს, ბოკუჩავამ — ლ. გრიგორიანს, ჩაიკოვსკაიამ — ვარდანიანს და ალექსანდრიამ — აჟიანს. ყაიმით დამთავრდა ბუსლაევ — კასპარიანის პარტია.

მატჩ-ტურნირში I ადგილი დაიკავა თბილისმა, რომელსაც 26 ქულა და 2 გადადებული პარტია აქვს. II ადგილზეა ბაქო (20 ქულა), III — ერევანი (12 ქულა და 2 გადადებული პარტია).

## გუშინ...

ზატულოვსკაიას უკეთესი პოზიცია ჰქონდა კაკაბაძესთან. თამაშის განახლებისას ბაქოელმა მეთოდურად მოახდინა უპირატესობის რეალიზება და გაიმარჯვა. ლომაიას პირვოროდსკისთან ეტლების უარესი ენდშპილი ჰქონდა, მაგრამ თბილისელი ზუსტად თამაშობდა და

## უმეტესობა თბილისელები იყვნენ

**გორში** ახლახან დამთავრდა საქართველოს უძლიერეს ფრენბურთელთა ტურნირი, რომელშიც ქალ-ვაჟთა 7-7 გუნდი მონაწილეობდა (თბილისი წარმოდგენილი იყო ვაჟთა 4 და ქალთა 3 გუნდით).

ქალებში, როგორც ველოდით, ტოლი არ ჰყავდათ თბილისის I და II გუნდებს (მწვრთნელი — სპორტის ოსტატი ა. თევოსიანი). პირველობის ბედიც მათს ორთაბრძოლაში გადაწყდა: გაიმარჯვა I ნაკრებმა — 3:0. III ადგილი დაისაკუთრეს ქუთაისელებმა, რომლებმაც გადამწყვეტ ბრძოლაში სძლიეს სოხუმელებს — 3:2.

ვაჟთა შორის წარმატება წილად ხვდა თბილისის III ნაკრებს, რომელიც შედგენილი იყო ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებით (მწვრთნელი ი. ნიკოლაიშვილი). ქვეჯგუფში თბილისის განათლების განყოფილების, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის (მომავალი აგრონომები ს. ბუინოვისა და ნ. ტრიანდაფილიდის გარეშე თამაშობდნენ) და, ბოლოს, რუსთავის ფრენბურთელთა გუნდების დამარცხების შემდეგ თბილისის III ნაკრები ფინალში პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტსმენებს შეხვდა და გაიმარჯვა — 3:2.

მომდევნო ადგილები დაიკავეს თბილისის I და II ნაკრებმა გუნდებმა, რომლებიც პოლიტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების სპორტსმენებით იყვნენ დაკომპლექტებული.

ტურნირის საუკეთესო მოთამაშეებად აღიარეს სპორტსმენი ქალი ა. ვარდიშვილი (თბილისის „განთიადი") და ვ. ობიჯკო (ფიზკულტურის ინსტიტუტი). საუკეთესო მსაჯად მიიჩნიეს თბილისელი ვ. გელაძე.

**ლ. ფალიანი.**

## ყოველი მხრიდან

### ძალიან გვეხმარება...

ამერიკულმა პრესამ ამ მატჩს „კალათბურთის მარათონი" უწოდა. გაზეთები სიამაყით იუწყებოდნენ, რომ „ამერიკა ის ქვეყანაა, სადაც გაიმართა ყველაზე ხანგრძლივი თამაში კალათბურთში". მართლაც, პატარა ქალაქ სატელიტ ბიჩის (ფლორიდა) ორი გუნდის შეხვედრა 72 საათს გაგრძელდა და დამთავრდა ანგარიშით 6868:6776.

ყოველი გუნდი 2 შემადგენლობით გამოდიოდა, თითეული 4 საათს თამაშობდა. თამაშისგან თავისუფალ კალათბურთელებს იქვე მოედანზე ეძინათ და ნაცნობებისა და გულშემატკივართა მიერ მოტანილი საჭმლით იკვებებოდნენ.

შეიძლება არც კი ღირდა ამ მორიგ ამერიკულ „რეკორდზე" ლაპარაკი. ხომ საყოველთაოდ ცნობილია, რომ სწორედ აშშ-ს ეკუთვნის რეკორდები „პიანინოს დამსხვრევაში", „სატელეფონო ჯიხურში შეძრომაში", „გადაფურთხებაში", „კვერცხების ყლაპვაში"... მაგრამ სატელიტ ბიჩში გაიმართა ერთი, მეტად დამახასიათებელი ინტერვიუ. „მატჩის" შემდეგ რომელიღაც ცნობისმოყვარე ჟურნალისტი მივიდა ყველაზე შედეგიან მოთამაშესთან, ვინმე ჯეკობსთან და ჰკითხა: „გეთაყვა, კაცმა რომ თქვას, რატომ აკეთებთ ამას?"

არაქათგაცლილმა ჭაბუკმა ძლივსძლიობით დაღერღა: „პირველ ყოვლისა, ჩვენ ამით ყურადღებას ვიპყრობთ, ვქმნით რეკლამას და ბიზნესს. მეორე, და რაც მთავარია: როცა გაუთავებლად დარბიხარ მოედანზე და ბურთს „სცემ", ფიქრის დრო არ გრჩება. კალათბურთის მარათონი ძალიან გვეხმარება თავიდან მოიცილო თანამედროვეობის ათასნაირი ჯოჯოხეთური პრობლემები და საკუთარ მომავალზე არ იფიქრო".

### ლომი ვილი — ეკრანზე

როგორც ინგლისური გაზეთი „პიპლი" იუწყება, ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის სპეციალურ გეგმაში არის პუნქტი, რომელსაც პირობითად ასე ჰქვია: „ლომი ვილი — ეკრანზე".

საქმე ეხება მსოფლიო ჩემპიონატის მატჩების ტელევიზიით გადაცემას და ამ საინტერესო ღონისძიების ამსახველი ფილმის შექმნას. საორგანიზაციო კომიტეტის ინიციატივით, ინგლისის ტელეკომპანიებმა და ფირმებმა შექმნეს მძლავრი ჯგუფი 600 ინჟინრის, ტექნიკოსისა და ოპერატორის შემადგენლობით. ჯგუფმა უნდა უზრუნველყოს მსოფლიო ჩემპიონატის ყველა მატჩის შეუფერხებელი გადაცემა. საორგანიზაციო კომიტეტმა განაცხადა, რომ ტელევიზიით გადაიცემა ყველა მატჩი პირველიდან ბოლო წუთამდე. ევროპამ ამისთვის უნდა გადაიხადოს 300 ათასი გირვანქა სტერლინგი, სამხრეთ ამერიკამ — 100 ათასი.

ამას გარდა, ჩემპიონატის ორგანიზატორებმა უკვე შეუკვეთეს ორსაათიანი ფილმი, რომლის პროდიუსერი იქნება დოკუმენტურ სპორტულ გადაღებათა ცნობილი სპეციალისტი, პარიზში მცხოვრები ჩილეელი თ. სინორე.

„ლომი ვილი იმოგზაურებს ეკრანზე და ჩვენც გავყვებით მას ამ მოგზაურობაში. ეს ჩვენთვის ძალიან დიდი პატივია", — თქვა სინორემ.

# ჩვენს მოძმე რესპუბლიკებში

## ✦ იგორ ნოვიკოვის საიდუმლო

თანამედროვე ხუთჭიდელთა წლევანდელი ნაკრების სიაში იგორ ნოვიკოვის სახელს ვერ შეხვდებით. ეს პირველი შემთხვევაა ამ ბოლო 15 წლის მანძილზე. ახლახან, აპრილის ბოლოს, ვეტერანმა გადაწყვიტა შეჯიბრებებში მონაწილეობა აღარ მიეღო.

სხვათა შორის, ნოვიკოვმა ისედაც დაამყარა სპორტული გამძლეობის რეკორდი. 1952 წლიდან მოყოლებული, იგი ყველა ოლიმპიადაში გამოდიოდა. ნოვიკოვი ახლა 36 წლისაა, სპორტში 23 წელს მეცადინეობდა. ბევრი სახეობით იყო გატაცებული, მაგრამ ყველაზე დიდ წარმატებას ხუთჭიდში მიაღწია. ამ სახეობაში იგი ოთხჯერ გახდა სსრ კავშირისა და მსოფლიოს ჩემპიონი.

არადა, რა ბრწყინვალედ დაამთავრა სპორტული კარიერა! 35 წლისა იყო, რომ ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში ვერცხლის მედალი მოიპოვა, 36 წლისამ კი ასეთივე ჯილდო დაიმსახურა ლაიპციგში, მსოფლიო ჩემპიონატზე.

რა არის ამ შესანიშნავი სპორტული გამძლეობის საფუძველი? სწორედ ამის გასაგებად ჩავედი ერევანს, სადაც ნოვიკოვი ცხოვრობს.

— თქვენ როგორ გგონიათ, რაშია ნოვიკოვის სიჭაბუკის საიდუმლო? — ვკითხე განთქმული ჩემპიონის თანამემამულეებს.

— ტექნიკაში, — მიპასუხა ერთმა.

— ოსტატობაში, — თქვა მეორემ.

— ნებისყოფასა და სიმტკიცეში, — დასძინა მესამემ.

ყველაფერი ეს სწორი იყო, მაგრამ მომეჩვენა, რომ საიდუმლო სხვებზე უკეთ მაინც თანამედროვე ხუთჭიდის თავდადებულმა გულშემატკივარმა მარატ კარაპეტიანმა ახსნა:

— სომხეთი განთქმულია ჩინებული კონიაკით, მაგრამ იგორს, მე მგონია, მისი გემოც არ უნახავს. სომხეთში კარგი თამბაქო მოდის, მაგრამ იგორს არ გაუსინჯავს, სომხეთში მშვენიერი, საოცარი ღამეები იცის, მაგრამ იგორს ეს არ დაუნახავს...

მარატი კიდევ დიდხანს ლაპარაკობდა, მაგრამ ჩემთვის ყველაფერი ნათელი იყო.

ნოვიკოვს რკინისებური რეჟიმი ჰქონდა. სწორედ ეს არის ცნობილი სპორტსმენის საიდუმლო.

* * *

უნდა დავსძინო: ნოვიკოვი არც ახლა ჩამოსცილებია სპორტს. იგი სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების უფროს მწვრთნელად დაინიშნა. ამასთან, ერევანში ახალგაზრდა ხუთჭიდელთა მის მიერვე დაარსებულ სკოლასაც ხელმძღვანელობს. ამ სკოლის 18 აღზრდილი უკვე სპორტის ოსტატია.

ვ. ბაბკინი.

ერევანი.

## ✦ მწვრთნელი... საოპერაციო მაგიდასთან

ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. გაფიზმა თვალი გაახილა და თავისი მწვრთნელის რაგიმ ალიბეკოვის მოღიმარი სახე დაინახა.

— ყველაფერი რიგზეა, — უთხრა მან ჭაბუკს და რეზინის ხელთათმანები გაიძრო. — მალე ვარჯიშის გაგრძელებაც შეიძლება.

რ. ალიბეკოვმა ორმოცს გადააბიჯა. ცხოვრებაში მას არა ერთხელ მოუხდა რთული საკითხების გადაჭრა. მაგრამ დღემდე ვერ გიპასუხებთ: რა უფრო ძვირფასია მისთვის — მედიცინა თუ სპორტი?

სპორტის ოსტატი, ტანმოვარჯიშე რ. ალიბეკოვი სტალინგრადთან გმირულ ბრძოლაში მონაწილეობდა, ბერლინამდე მივიდა, რამდენჯერმე დაიჭრა. 1945 წელს ბაქოში ყავარჯნებით დაბრუნდა, მაშინვე მშობლიურ „დინამოს“ მიაკითხა და... შავ ჩარჩოში ჩასმული თავისი პორტრეტი დაინახა. მას, უგზო-უკვლოდ დაკარგულს, მეგობრები დაღუპულად თვლიდნენ.

რაგიმი მწვრთნელად მუშაობს, „მედიკის“ ჩემპიონია, მერე სამედიცინო ინსტიტუტს ამთავრებს და მთლიანად მწვრთნელის საქმიანობაზე გადადის.

აზერბაიჯანის სსრ დამსახურებულ მწვრთნელს ალიბეკოვს არა ერთი საუკეთესო სპორტსმენი აღუზრდია. იგი საკავშირო კატეგორიის მსაჯია, ტანვარჯიშის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილეა, სათავეში უდგას აზერბაიჯანის მსაჯთა კოლეგიას.

ექიმი ალიბეკოვი კი სემაშკოს სახელობის საქალაქო საავადმყოფოს ტრავმატოლოგიურ განყოფილებას ხელმძღვანელობს. იგი საკანდიდატო დისერტაციაზე მუშაობს და გულსისხლძარღვოვანი ქირურგიის დარგში მრავალი საინტერესო ნაშრომის ავტორია. შემთხვევა, რომლითაც მოთხრობა დავიწყე, მოგონილი არ არის. სულ ახლახან რ. ალიბეკოვმა ოპერაცია გაუკეთა მოსწავლე გაფიზ ჯებრაილოვს, რომელიც ოსტატთა პროგრამით გამოსასვლელად ემზადებოდა. ავადმყოფობამ მისი გეგმები ჩაშალა, მაგრამ ახლა გაფიზი საკმაოდ მალე შეაღებს ტანვარჯიშის დარბაზის კარს.

ბაქო.

## ✦ ოლიმპიური ქალაქი კოლომნაში

მოსკოვის ახლოს, ქალაქ კოლომნაში კულტურისა და სპორტის სასახლე ააგეს. ორი დიდი დარბაზი მხატვრულ და სპორტულ ტანვარჯიშში, ფრენბურთსა და კალათბურთში წვრთნისა და შეჯიბრებებისთვის არის განკუთვნილი. საკონცერტო დარბაზის სცენაზე შეიძლება ჩატარდეს ასპარეზობა ჭიდაობასა და კრივში. ეს დარბაზი 750 მაყურებელს იტევს.

სასახლე მარმარილოთი, სინთეტური მასალით, გაპრიალებული წიფელითა და მუხით არის მოპირკეთებული. ახალი შენობა სპორტული კომპლექსის ერთი ობიექტია. საციგურაოზე გაკეთდება ჩვენს ქვეყანაში პირველი 400-მეტრიანი ხელოვნური ყინულოვანი ბილიკი. მოციგურავეებს საშუალება ექნებათ მთელი წლის განმავლობაში ივარჯიშონ და შეჯიბრებებისთვის ემზადონ.

კოლომნა (მოსკოვის ოლქი).

# მიზანი ვისბადენია

„ეგვიპტელი ფარაონი რამზეს II მსოფლიო ჩემპიონატს რომ დასწრებოდა, აუცილებლად შემურდებოდა ელენე დონსკაიას სროლის სიმტკუბუქე“.

ასე თქვა 4 წლის წინათ ქაიროში არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის სამხრეთ-აღმოსავლეთ პროვინციის უხუცესმა მონადირემ მოჰამედ ამინმა, როცა მსოფლიოს უძლიერეს მსროლელთა 38-ე ჩემპიონატზე თანასოფლელებთან ერთად ჩამოვიდა. რამზეს II და მისი მეომრები ზუსტი სროლით იყვნენ განთქმული. სწორედ ამიტომ იყო გამოსახული 38-ე მსოფლიო ჩემპიონატის მედლებზე ეტლი მშვილდოსანი მეომრით. პირველი ასეთი მედალი საბჭოთა სპორტსმენს ე. დონსკაიას გადასცეს.

ძველი პირამიდების ქვეყანაში 9 გუნდური პრიზი გათამაშდა. 8 საბჭოთა მსროლელებმა მოიპოვეს. სამშობლოში მათ 70 მედალი ჩამოიტანეს, აქედან—52 ოქროსი იყო. ეს საბჭოთა სპორტსმენების ზედიზედ მესამე გამარჯვება გახლდათ მსოფლიოს ჩემპიონატებში. დაირღვა ტრადიციად ქცეული ჰეგემონია აშშ-ის, შვეციის, შვეიცარიისა და ფინეთის სპორტსმენებისა, რომლებიც პლანეტის პირველობას, ჩვეულებრივ, ერთმანეთში იყოფდნენ.

მსოფლიოს ყოველი ჩემპიონატი, რაც ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდება, სიახლით გამოირჩევა. ეს სიახლე სნაიპერების ტექნიკური ოსტატობის ზრდითაა გამოწვეული. წლევანდელი ჩემპიონატი, რომელიც ივლისში გფრ-ის სამხრეთში, ქალაქ ვისბადენში გაიმართება, გამონაკლისს არ წარმოადგენს. სროლა რომ უფრო დინამიური გახდეს, სროლის საერთაშორისო კავშირის აღმასკომმა ვარჯიშის შესრულებისთვის განკუთვნილი დროის შემცირება გადაწყვიტა. მაგალითად, 300 მეტრზე ნებისმიერი შაშხანით და 50 მეტრზე მცირეკალიბრიანი შაშხანით სამი მდგომარეობიდან 120 გასროლაზე თითოეულ სტანდარტში ექვსსაათნახევარი მიდიოდა. ახლა ამას 1 საათით ნაკლები დაეთმობა. არმიული შაშხანით და სამატჩო პისტოლეტით სროლის დრო ნახევარი საათით შემცირდა.

პროგრამაში შეტანილია პნევმატური შაშხანით სროლა. ეს პირველი შემთხვევაა მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში. ვარჯიში სრულდება დგომელა. მსროლელს 50 ვაზნას აძლევენ, 10 საცდელია, 40 ჩასათვლელი. სროლის დისტანცია 10 მეტრია. გუნდის შემადგენლობა—4 კაცი, ჩათვლა—პირად-გუნდური.

ვისბადენში არ იქნება მსროლელთა ჯიხურები: ცეცხლის ხაზი ყოველი მხრიდან ღიაა. ეს იმ მიზნით, რომ მაყურებლებმა თითოეული სპორტსმენის სროლას ადევნონ თვალი.

წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატში ქალებს უფრო სამართლიანად მოექცევიან. ეს, ალბათ, ამ ასპარეზობის ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლეა. მართალია, ქალები წინა ჩემპიონატებშიც მონაწილეობდნენ, მაგრამ მხოლოდ ცალკეული ქვეყნების ფედერაციების თხოვნით. საერთაშორისო კავშირის აღმასკომმა მიიღო სსრ კავშირის სასროლო სპორტის ფედერაციის წინადადება—39-ე ჩემპიონატიდან დაწყებული, ქალები ოფიციალურად გამოვლენ მსოფლიოს ყველა შემდგომ პირველობაში.

მცირეკალიბრიანი სტანდარტული პისტოლეტით ისინი კომბინირებულ ვარჯიშს შეასრულებენ: 30-30 გასროლა სილუეტსა და მრგვალ სამიზნეზე. ყოველი ქვეყნის ნაკრებიდან პირად პირველობაში 1 სპორტსმენი გამოვა, პირად პირველობაზე ჩატარდება მეორე ვარჯიშიც, 60 გასროლა 50-მეტრიან დისტანციაზე მცირეკალიბრიანი სტანდარტული შაშხანით (წოლელა, ჩოქელა, და დგომელა). მესამე ვარჯიში ითვალისწინებს 60 გასროლას მხოლოდ წოლელა მდგომარეობიდან. ამ ვარჯიშით ქალები პირადი და გუნდური პირველობისთვის იბრძოლებენ.

ვისბადენში მწვავე სპორტული ბრძოლაა მოსალოდნელი, ვინაიდან ბოლო წლებში შესამჩნევად ამაღლდა მრავალი ქვეყნის სპორტსმენთა სნაიპერული ოსტატობა. ეს მარტო აშშ-ის მსროლელებზე როდი ითქმის. სასროლო სპორტი დიდად განვითარდა სოციალისტურ ქვეყნებში: რუმინეთში, უნგრეთში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, გდრ-ში, ბულგარეთში.

მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე დიდი დრო აღარ დარჩა. საბჭოთა სპორტსმენები შეუპოვრად ვარჯიშობენ და ძალღონეს არ დაიშურებენ უძლიერესის სახელის დასაცავად.

ა. ილინი.



სახელგანთქმულ ზანგ ათლეტს, მძიმე წონაში მსოფლიოს ექს-ჩემპიონს პროფესიონალ მოკრივეთა შორის ჯო ლუისს დიდი სიხარულით შეხვდნენ დეტროიტის (აშშ) ცნობილ საესტრადო ჯგუფში „სიუპრემში“.

სურათზე, სწორედ ეს მომენტია ასახული. ჯ. ლუისი ახალგაზრდა მომღერლების გარემოცვაშია...

## მსოფლიო ჩემპიონატის ირგვლივ

ფეხბურთი

⊙ **რიო-დე-ჟანეირო.** ბრაზილიის ერთ-ერთი ტურისტული ბიურო თავის ტურისტებს, რომელთაც მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალზე დასწრება სურთ, აბინავებს არა ინგლისის რომელიმე ქალაქში, არამედ... პარიზში. ბრაზილიელი ტურისტები გაეცნობიან საფრანგეთის დედაქალაქს და შვეულმფრენით ჩავლენ ხოლმე ინგლისში ჩემპიონატის მატჩებზე დასასწრებად.

⊙ **ლონდონი.** ინგლისელმა კომპოზიტორებმა ა. მურპოუზმა და კ. მენსფილდმა დაწერეს მსოფლიო ჩემპიონატისადმი მიძღვნილი სპეციალური მარში. იგი პირველად შესრულდება 11 ივლისს ინგლის-ურუგვაის შეხვედრის დროს, მსოფლიო ჩემპიონატის გახსნის დღეს.

⊙ **ციურიხი.** ფიფა-ს ხელმძღვანელობამ ერთ-ერთ ფრანგულ კინოფირმას ნება დართო გადაიღოს მსოფლიო ჩემპიონატისადმი მიძღვნილი დიდი ფილმი. მისი კადრები, რომლებიც ასახავენ ნახევარფინალურ და ფინალურ მატჩებს, ფერადი იქნება, დანარჩენები კი — ჩვეულებრივი.

⊙ **ლონდონი.** მსოფლიო ჩემპიონატის დასკვნით ბანკეტზე, რომელიც 30 ივლისს გაიმართება „როიალ გარდენის“ სასტუმროში, მიიწვევენ ნახევარფინალში გასულ 4 უძლიერეს გუნდს.

⊙ **ლონდონი.** 15 ივლისს დანიშნული მატჩი მსოფლიო პირველობაზე ურუგვაელებსა და ფრანგებს შორის „უემბლიდან“ გადატანილია „უაიტ სიტის“ სტადიონზე. ეს იმიტომ, რომ „უემბლიზე“ ამ დღეს გაიმართება ძაღლების დიდი დოღი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.


საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას

მწვრთნელთა სკოლის I კურსზე

სწავლების ვადა 3 წელია. კურსდამთავრებულნი იღებენ საშუალო განათლებას და მწვრთნელის კვალიფიკაციას. სკოლაში მიიღებიან სსრ კავშირის მოქალაქენი 30 წლის ასაკამდე, რომელთაც აქვთ არასრული საშუალო განათლება კარგი ჯანმრთელობა და არანაკლებ II თანრიგი (სპორტის რომელიმე სახეობაში).

განცხადებები მიიღება 31 ივლისამდე (ჩათვლით) შემდეგ სპეციალობებზე: მძლეოსნობა, სპორტული ტანვარჯიში, მხატვრული ტანვარჯიში, კალათბურთი, თავისუფალი და კლასიკური ჭიდაობა, ძალოსნობა, ველოსპორტი, ცურვა.

მსურველებმა, განცხადება უნდა შემოიტანონ ინსტიტუტის რექტორის სახელზე, არჩეული სპეციალობის აღნიშვნით.

განცხადებას უნდა დაერთოს:

ა) საბუთი განათლების შესახებ (დედანი);

ბ) ავტობიოგრაფია;

გ) სკოლის ან რაიონული პოლიკლინიკის ექიმის მიერ გაცემული სამედიცინო ცნობა № 286 ფორმის მიხედვით;

დ) 3 ფოტოსურათი (3×4 სმ ზომისა);

ე) ისინი, ვისაც აქვს მუშაობის სტაჟი არანაკლებ 2 წლისა, წარმოადგენენ ამონაწერს შრომის წიგნაკიდან, ხოლო კოლმეურნეები — ამონაწერს საკოლმეურნეო წიგნიდან (საბუთი დამოწმებული უნდა იყოს წარმოების ხელმძღვანელის მიერ).

პირადად უნდა იქნას წარმოდგენილი დაბადების მოწმობა ან პასპორტი, სამხედრო ბილეთი ან მიწერითი ცნობა (სამხედრო ვალდებულთათვის).

მისაღები გამოცდები ტარდება 1-დან 20 აგვისტომდე შემდეგ დისციპლინებში:

ა) ქართული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი) — ქართულ სექტორზე შემსვლელთათვის;

ბ) რუსული ენა და ლიტერატურა — წერა (კარნახი) და ზეპირი— რუსულ სექტორზე შემსვლელთათვის;

გ) სპორტული მომზადება — სპორტის ნებისმიერი სახეობა, აგრეთვე, ტანვარჯიში, მძლეოსნობა, ცურვა.

გამოცდები ტარდება სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამის მიხედვით.

მწვრთნელთა სკოლაში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით, სტიპენდიით და სპორტული ფორმით (არსებული წესის თანახმად).

ცნობების გაცემა წარმოებს მისაღები გამოცდების სამდივნოში.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. № 49.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორატი.


ცხენოსნური სპორტის რესპუბლიკური ფედერაცია იუწყება სპორტის ოსტატ

**მალხაზ ვალერიანის ძე ერისთავის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს. პანაშვიდი 17, 18 მაისს 8 საათზე. გამოსვენება 19-ში 5 საათზე (სულხან-საბას ქ. № 8). დაკრძალვა საბურთალოს სასაფლაოზე.

ИНДЕКС 66118 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 11 უე 01574